

**„ნორჩ მხაზველთა“ 57-ე ეროვნული კონკურსის
დებულება**

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“, ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტთან ერთად, საინჟინრო მეცნიერებებით დაინტერესებულ მოზარდებისა და ახალგაზრდების მიერ მიღებული ცოდნის გამოსავლენად და სივრცითი, შემოქმედებითი უნარების განსავითარებლად ატარებს „ნორჩ მხაზველთა“ კონკურსს.

მუხლი 1. კონკურსის ჩატარების მიზანი

1. კონკურსის ჩატარების მიზანია:

- 1.1. მოზარდებისა და ახალგაზრდების საინჟინრო სფეროში მიღებული ცოდნის წარმოჩენა.
- 1.2. მოზარდთა და ახალგაზრდათა ინტერესის გაღრმავება საინჟინრო მეცნიერებების მიმართ.
- 1.3. სივრცითი და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენა.

მუხლი 2. კონკურსის ძირითად წესები და მოთხოვნები

- 2.1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც საჯარო, კერძო, სრული და არასრული სკოლების, გიმნაზიებისა და კოლეჯების, ისე, ახალგაზრდობის სახლების, სასახლეების, ახალგაზრდული ცენტრების წრეებისა და კლუბების წევრებს.
- 2.2. საგამოფენო ნახაზი სრულდება ფანქრით, A3 ფორმატის სახაზავ ფურცელზე, საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ფურცლის გაზრდა (სასურველია საგამოფენოდ ხელით შესრულებული ნახაზებთან ერთად კომპიუტერულ გრაფიკაში შესრულებული ნახაზების წარმოდგენა).
- 2.3. საგამოფენო ნახაზი შემოქმედებითია და შესაძლებელია მისი შესრულება ტუშით ან ფერადი მასალით, თუმცა დაცული უნდა იყოს ამ დებულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- 2.4. მოდელის დამზადება შეიძლება ავტორისათვის სასურველი და ხელსაყრელი მასალით (დეტალის ზედაპირის განფენის მიხედვით) რითაც აჩვენებს საკუთარ შემოქმედებით აზროვნებას.

მუხლი 3. კონკურსის ჩატარების ვადები და ეტაპები

3.1 კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად, ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, თბილისში მცხოვრები მოსწავლეთათვის, ხოლო რაიონში მცხოვრები მოსწავლეთათვის - შესაბამის სკოლაში.

3.2. კონკურსის I ეტაპი ჩატარდება 2020 წლის 5 აპრილს. კონკურსის ამ ეტაპზე სრულდება ნახაზი საკონკურსო დავალების მიხედვით.

3.3. კონკურსის II ეტაპი - გამოფენა, დაჯილდოება, ჩატარდება 2020 წლის 7 ივნისს ქ. თბილისში ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში.

მუხლი 4. საკონკურსო პირობები

4.1. მონაწილეები, ასაკის მიხედვით, იყოფიან სამ კატეგორიად (V – VIII კლასი, IX-X კლასი და XI-XII კლასი).

4.2. მონაწილეებს ასაკის შესაბამისად ეძლევათ შესაბამისი სირთულის დავალება:

4.2.1. V-VIII კლასელთათვის - II სირთულის ფიგურის თვალსაჩინო გამოსახულებიდან ხედებისა და აქსონომეტრიის აგება. II სირთულის ფიგურა წარმოადგენს წახნაგოვანი ზედაპირების კომბინაციით შედგენილ ფიგურას, რომელსაც შიდა სიღრუეები გააჩნია.

4.2.2. IX-X კლასელთათვის - III სირთულის ფიგურის მოცემული ორი ხედის მიხედვით მესამე ხედის და აქსონომეტრიული გეგმის აგება. III სირთულის ფიგურა წარმოადგენს წახნაგოვანი და მრუდე ზედაპირების კომბინაციით შედგენილ ფიგურას, რომელიც შეიცავს შიდა ფორმებსაც (სიღრუეები, გამჭოლი ხვრელები, ღარები, ამონაჭერები და მისთანანი).

4.2.3. XI- XII კლასელთათვის - III სირთულის ფიგურის მოცემული ორი ხედისა და აქსონომეტრიული გეგმის აგებას მარტივი ჭრილების გამოყენებით.

მუხლი 5. დავალების შედგენის და შეფასების კრიტერიუმები

5.1. კონკურსის ჩატარებას და საკონკურსო ამოცანების შედგენას უზრუნველყოფს კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლის დირექტორის ბრძანებით.

5.2. რეგიონებში კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფენ ადგილობრივი ხელშემწყობი კომიტეტები, რომელთაც ევალებათ საკონკურსო ამოცანების შედგენა დებულების მოთხოვნის მიხედვით. რეგიონებში შერჩეულ კონკურსანტთა ნაშრომები გადაეგზავნება კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტს.

5.3 ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

- ხედების აგების სისწორე;

- იზომეტრიის აგების სისწორე;
- ნანახის გაფორმების სტანდარტული პირობითობები;

5.3. კონკურსში მონაწილეთა მიერ შესრულებული დავალების შეფასებისას ყურადღება ექცევა მონაწილის თეორიულ მომზადებას საინჟინრო გრაფიკაში, მის უნარ-ჩვევებს ნახაზების სტანდარტული წესით შესრულებასა და გრაფიკული გამოსახულების აგებას.

მუხლი 6. კონკურსის ჯილდოები და მათი გაცემის პირობები

6.1. გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრიზით დაჯილდოვდებიან XI-XII კლასის მოსწავლეები, რომლებმაც მოსწავლეთა სასწავლო - შემოქმედებით კონფერენციაზე მიიღეს ჯილდო, „ნორჩ მხაზველთა“ კონკურსში - უმაღლესი 15 ქულა, წარმოადგინეს ორიგინალური საგამოფენო მასალა და IX-XI კლასებში მიიღეს ტექნიკური უნივერსიტეტის დიპლომი.

6.2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიპლომით დაჯილდოვდებიან IX-XII კლასის მოსწავლეები, რომლებიც „ნორჩ მხაზველთა“ კონკურსზე შეფასდებიან უმაღლესი 15 ქულით

6.3. ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დიპლომით დაჯილდოვდებიან IX-XII კლასის მოსწავლეების რომელთა ნაშრომიც შეფასდება 14 ქულით ან/და VII კლასის მოსწავლეები, რომელთა ნაშრომიც შეფასდება 15 ქულით.

6.4. ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სიგელით დაჯილდოვდებიან V-VII კლასის მოსწავლეები, რომლებიც კონკურსში მიიღებენ 13-14 ქულას ან/და IX-XII კლასის მოსწავლეები, რომლებიც კონკურსში მიიღებენ 13 ქულას.